

თავი IV

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

სახელმწიფო ბიუჯეტის 2018 წლის 3 თვის მაჩვენებლებიდან გამომდინარე საანგარიშო პერიოდში მთლიანი სალდო განისაზღვრა 263 900.0 ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 379 600.3 ათასი ლარის ოდენობით.
2. ფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 385 004.1 ათასი ლარი.

ფინანსური აქტივების ზრდა	<i>ათას ლარებში</i>	
	3 თვის დაზუსტებული გეგმა	3 თვის ფაქტიური შესრულება
	49,975.0	385,004.1
ვალუტა და დეპოზიტები*	0.0	339,235.6
სესხები	39,045.0	39,052.1
აქციები და სხვა კაპიტალი	10,930.0	6,716.4

*ვალუტა და დეპოზიტებში 339 235.6 ათასი ლარი წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში ნაშთის დაგროვებას. გამომდინარე იქიდან, რომ 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 557 972.6 ათასი ლარი, თავისუფალი საბრუნავი სახსრების ოდენობა 2018 წლის 1 აპრილისათვის განისაზღვრა 897 208.2 ათასი ლარით.

3. ფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 5 403.8 ათასი ლარი.

ფინანსური აქტივების კლება	<i>ათას ლარებში</i>	
	3 თვის დაზუსტებული გეგმა	3 თვის ფაქტიური შესრულება
	55,364.1	5,403.8
ვალუტა და დეპოზიტები	51,364.1	0.0
სესხები	4,000.0	4,844.4
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	559.4

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვრა 115 700.3 ათასი ლარის ოდენობით.
2. ვალდებულებების ზრდამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 295 804.8 ათასი ლარი, მათ შორის:

- (-7 591.3) ათასი ლარი - საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით წმინდა ზრდა;
- 1.0 ათასი ლარი - სხვა კრედიტორული დავალიანებები;
- 116 477.1 ათასი ლარი - საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და სხვა სახელმწიფოების მთავრობებისგან მიღებული საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები;
- 186 918.0 ათასი ლარი - ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები

ათას ლარებში

ვალდებულებების ზრდა	3 თვის დაზუსტებული გეგმა	3 თვის ფაქტიური შესრულება
	306,264.0	295,804.8
საშინაო	-10,748.0	-7,590.3
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	-10,748.0	-7,591.3
სხვა კრედიტორული დავალიანებები	0.0	1.0
საგარეო	317,012.0	303,395.1
სესხები	317,012.0	303,395.1

ათას ლარებში

დასახელება	საანგარიშო პერიოდის ფაქტი
ბიუჯეტის მხარდამჭერის კრედიტები	186,918.0
<i>AFD</i>	<i>186,918.0</i>
საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები	116,477.1
<i>WB</i>	<i>37,509.4</i>
<i>IFAD</i>	<i>1,734.2</i>
<i>EIB</i>	<i>19,725.5</i>
<i>EBRD</i>	<i>2,509.8</i>
<i>AIIB</i>	<i>544.6</i>
<i>ADB</i>	<i>40,235.7</i>
<i>საფრანგეთი</i>	<i>3,796.1</i>
<i>იაპონია</i>	<i>2,737.8</i>
<i>გერმანია</i>	<i>7,684.1</i>
სულ კრედიტები	303,395.1

2018 წლის I კვარტლის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 13 აუქციონი, გამოშვებული იყო სახაზინო ფასიანი ქაღალდები 415 000.0 ათასი ლარის მოცულობით, ამავე პერიოდში დაიფარა 426 400.0 ათასი ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდი. ფასიანი ქაღალდების გამოშვების კომპოზიცია: 14.5% იყო 6 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 28.9% - 12 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 28.9% - 2 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები, 21.7% - 5 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები და 6.0% - 10 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები.

საანგარიშო პერიოდში სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მიღებულმა თანხამ 406 713.2 ათასი ლარი, ხოლო ძირითადი თანხის დაფარვამ 414 304.5 ათასი ლარი შეადგინა. სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების შედეგად, საშინაო ვალდებულების კლებამ შეადგინა 7 591.3 ათასი ლარი, რაც დაგეგმილთან შედარებით 70.6%-ია.

სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვება/დაფარვით 2018 წლის 3 თვის განმავლობაში საშინაო ვალდებულებების ცვლილება

ათას ლარებში

თვე	სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მიღებული თანხა	სახაზინო ფასიანი ქაღალდების ძირითადი თანხის დაფარვა	სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით ვალდებულებების ცვლილება
იანვარი	151,518.7	210,821.4	-59,302.7
თებერვალი	127,244.1	56,738.1	70,505.9
მარტი	127,950.4	146,745.0	-18,794.6
სულ	406,713.2	414,304.5	-7,591.3

3. ვალდებულებების კლება 180 104.5 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა.

ათას ლარებში

ვალდებულებების კლება	3 თვის დაზუსტებული გეგმა	3 თვის ფაქტიური შესრულება
		181,682.0
საშინაო	5,082.0	5,082.0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	5,000.0	5,000.0
სესხები	82.0	82.0
საგარეო	176,600.0	175,022.5
სესხები	176,600.0	175,022.5

საქართველოს სახელმწიფო ვალი

2018 წლის 31 მარტის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ვალის ნაშთმა შეადგინა 16 315.0 მლნ ლარი, მათ შორის:

- სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი შეადგენს 3 522.9 მლნ ლარს, მათ შორის:
 - ✓ ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია („ობლიგაცია სეზ-ისთვის“) – 280.8 მლნ ლარი;
 - ✓ სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის („ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“) – 182.0 მლნ ლარი;
 - ✓ ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები - 1 773.4 მლნ ლარი;
 - ✓ ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები - 614.3 მლნ ლარი;
 - ✓ სხვა სავალო ვალდებულებები (ე. წ. “ისტორიული ვალი“) – 672.3 მლნ ლარი.
- სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი შეადგენს 12 792.2 მლნ ლარს.

კრედიტორი		ნაშთი 31.03.2018
სულ სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფოს გარანტიით აღებული საგარეო ვალი		12,792,162
მრავალმხრივი კრედიტორებისაგან		9,145,647
1	მსოფლიო ბანკი (WB)	4,894,624
2	სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	71,731
3	საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	228,164
4	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	329,268
5	აზიის განვითარების ბანკი (ADB)	2,589,687
6	ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	940,808
7	ევროკავშირი (EU)	68,453
8	აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB)	22,913
ორმხრივი კრედიტორებისაგან		2,223,537
1	ავსტრია	37,738
2	აზერბაიჯანი	20,511
3	თურქმენეთი	510
4	თურქეთი	39,310
5	ირანი	15,868
6	რუსეთი	164,563
7	სომხეთი	23,443
8	უზბეკეთი	431
9	უკრაინა	393
10	ყაზახეთი	50,114
11	ჩინეთი	5,771
12	გერმანია	719,433
13	იაპონია	537,611
14	კუვეიტი	28,776
15	ნიდერლანდები	2,641
16	ამერიკა	53,663
17	საფრანგეთი	522,760
სხვა საგარეო ვალდებულებები		1,207,200
	ევრობონდები	1,207,200
სახელმწიფოს გარანტიით აღებული კრედიტები		5,166
	გერმანია	5,166
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (ეროვნული ბანკი)		210,613
საშინაო ვალი		3,522,878
1	ეროვნული ბანკისთვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია	280,846
2	სხვადასხვა ვადის სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის	182,000
3	ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები	614,344
4	ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	1,773,363
5	„ისტორიული ვალი“	672,325
სულ სახელმწიფო ვალი		16,315,040